# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— შაბათი, 13 მაისი 1900 წ. № 1123

**გაზეთი ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



## წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირს-შესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—ადრესისა და სასყიდლის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. (რ 0—13)

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულია 25 და 26 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—34)


## ახალი ამბავი

—

✦ ტფილისში დიდი მზადებაა შაჰის შესახვედრად და მისაღებად. შაჰი ჩამოვა მხოლოდ ორშაბათს, 15 მაისს, და ვოკზლის, მიხაილოვის, ბარიათინსკის და გოლოვინის ქუჩებით მივა მთავარ-მართებლის სასახლეში. სადგურზე მას მიეგებებიან მთავარ-მართებლის თანაშემწე, ქალაქის თავი და გამგეობის წევრები. სასახლეში შაჰს დაჰხვდებიან სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა ნაწილების უფროსები, ტფ. საბჭოს ხმოსნები და საპატიო პირნი. ქუჩები მორთული იქნება ბაირაღებით და გაჩირაღდნებული. კამარები იმართება: სადგურის წინ, ბარიათინსკის ქუჩაზე და ოლგას ქუჩაზე. ზოგიერთ ქუჩების გზაფენილს სიჩქარით აკეთებენ. შაჰის ამალა, 40 კაცისაგან შემდგარი, ჩამოხტება „ორიანტში“, „კავკაზში“ და სპარსეთის საელჩოს სადგომში. შაჰი ტფილისში დაათვალიერებს ზოგიერთ სასწავლებელს. დარჩება აქ რამდენიმე დღე და შემდეგ საქართველოს სამხედრო გზით წავა რუსეთში საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის.

✦ მოსკოვიდან შემდეგს სამწუხარო ამბავს გვაუწყებენ: მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი გამომცემელი „საქართველოს სამოთხისა“, საქართველოს დიდებისა“, და სხვა ისტორიულ თხზულებათა საქართველოს შესახებ მიხეილ (გობრონ) **საბინინი.**

✦ „ტფ. ფურცელს“ სწერენ ჰიათურიდან, რომ იქ მუშათა შორის **მძვინვარებს რაღაცა კუჭის აგადმყოფობა.** მიღებულია ზომები საშინელის სენის შესაჩერებლადაო.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის **გუბერნატორი** გენ.-მაიორი გერშელმანი.

✦ ტფილისის საგუბერნიო ექიმი ბ-ნი **ქიქოძე** და მისი თანაშემწე ბ-ნი მაჰავარიანი გორის მაზრაში გაემგზავრნენ ზოგიერთ ადგილების სანიტარულ მდგომარეობის გამოსაძიებლად.

✦ აჭარიდან გვატყობინებენ, რომ იქაურები არ იშლიან და ისევ იყრებიან **ოსმალეთში წასასვლელად.** განსაკუთრებით ზემო აჭარლებს არ უდგებათ გული. ამას წინად ზემო აჭარის ს. ბაკოდან 60 კომლი გადასახლდა ოსმალეთში, სახელდობრ ბურსაში. მიზეზი აყრისა სახნავ-სათესის სიძვირეა. ოსმალეთიდან მოსული ფანატიკოსი მოლებიც ბევრს აგულიანებენ: ოსმალეთში წამოდით, ფადი-შაჰი თვისის უხვის მოწყალებით აღგავსებთ თვისს ერთმორწმუნე ხალხსაო.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს მოხელეები უკვე შესდგომიან შავი ზღვის ნაპირა ადგილების გამიჯვნასა და მომზადებას **რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის.** გაზეთების სიტყვით, კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას ბევრი თხოვნები მოსვლია მიწების დათმობის შესახებ.

✦ ტფილისის **საბჭოს** მომავალს **კრებაზე**, ორშაბათს, 15 მაისს, სხვათა შორის განიხილება კითხვა ნატახტრის წყაროებიდან წყლის გამოყვანის შესახებ და შუკერტის ფირმასთან ხელშეკრულობის საქმე ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ.

✦ ამავე საბჭოს მალე წარედგინება მოხსენება ქალაქის ტრამვაისთვის **სავალდებულო დადგენილებათა** გამოცემის შესახებ. „ტფ. ფურცელს“, მოჰყავს-რა ეს ამბავი, სამართლიანად ამბობს იგი, რომ საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ტრამვაიზე მსახურთა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს.

✦ მარელისსა და ბელაგორს შუა **გაფუჭებული ლიანდაგი** უკვე შეკეთდა და ბათუმისა და ტფილისის შუა მატარებლების წესიერი მიმოსვლა ისევ დაიწყო. ბაქოსაკენ **ჯერ** კიდევ არ დაწყებულა მიმოსვლა; რკინის გზის მმართველობის ცნობით იქითკენ გზა გაიხსნება 14 ან 15 მაისს, თუ წვიმები არ იქმნა. პეტროვსკისაკენ კი გზა 25 მაისამდე არ გაიხსნება. საქართველოს სამხედრო გზა გაიხსნა გუშინ, მაგრამ ნიაღვრებისაგან გაფუჭებული სულ არ შეუკეთებიათ და გაცხარებული მუშაობაა. რუსეთიდან ფოსტა კიდევ არ მოულა ტფილისში.

✦ სოხუმიდან გვწერენ: ცნობილს მემამულეს ბ-ნს ალ. სარაჯიშვილს, რომელსაც აფხაზეთში (კოდორის ხეობაში) 1,000 დესეტინა ტყე და სახნავ-სათესი მიწა აქვს, 1897 წელს ხე-ტყის მწარმოებელმა მაქსიმოვმა ნაძვის და ბზის ტყე მოუჭრა მის ნებადაურთველად. ბ-ნის ალ. სარაჯიშვილის ვექილმა სერ. ჯაფარიძემ ქუთაისის ოლქის სასამართლოში უჩივლა მაქსიმოვს და ზარალის ზღვევასა სთხოვს. მოჭრილ ხე-ტყის ფასი 60,000 მანეთს აღემატება. იმავე კოდორის ხეობაში სხვა მემამულეთაც მოუჭრეს ტყე. ზოგმა კიდეც იჩივლა ზარალი და ზოგიც ახლა აპირებენ საჩივარს. როგორც ამბობენ, პატრონთა დაუკითხველად აქეთკენ ბევრ ალაგას მოიჭრა ნაძვისა, წაბლისა, მუხისა და ბზის ტყეების.

✦ დ. ოჩამჩირედან გვწერენ: აქაური ალებ-მიცემობა დამოკიდებულია **სიმინდის** ვაჭრობაზედ: თუ კარგი მოსავალია სიმიდისა, ვაჭრობა კარგია, თუ არა და ნაკლებია. ნამდვილ ცნობიდან სჩანს, რომ აქედან გასულა ამ წლის პირველ იანვრიდან 300 ათასზე ცოტა მეტი ფუთი სიმინდი საზღვარგარედ; რადგანაც შარშან აფხაზეთში მოსავალი სიმინდისა ნაკლები იყო, ამიტომ ვაჭრობა ძალიან დაეცა აქ წელს. ამ ჟამად აქ სიმინდი ფასობს 46—49 კაპ. ფუთი.

✦ იქიდამვე გვწერენ: ამას წინად აქ ერთი უბედურება მოხდა: ცოფიანმა ძაღლმა ერთი კაცი და ქალი დაჰკბინა, ქალი დიდ წვალების შემდეგ გარდაიცვალა, ვაჟი კი დღესაც ავად არის.

✦ გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე, ბორჯომში **მიწის-ძვრა** მოხდა.

✦ სოხუმს სხვათა შორის, დაფნის ტყეც აქვს. როგორც ვიცით, აქედან დაფნის ფურცელს ბლომად ეზიდებიან რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში. თვითმმართველობის შემოღებამდე ამ ტყეს იჯარით აძლევდნენ და მოიჯარადრენი იმის ცდაში იყვნენ, ბლომად გაეზიდნათ ფოთოლი, ხოლო ფოთლის მოკრების დროს საშინლად აოხრებდნენ თვით ხეებს, ასე რომ მერე სულ ფუჭდებოდა ტყე და ხმებოდა. ამ ჟამადაც იმავე უნუგეშო მდგომარეობაშია დაფნის ტყის საქმე. იმ ნაირადვე ვერაგულად სჩეხავენ ტყეს, როგორც ამ ერთის წლის წინადაც. გარდა ამისა, შიგ თხებსაც უშვებენ, რომელთაც სულ გაქერქეს ახალმოზარდი ტყე. სასურველია, თუ გამგეობა არა, ხმოსნები მაინც მიხედავდნენ ამ ტყეს, რომელსაც წელიწადში 3,000 მანეთზე მეტი შეუძლიან შემოუტანოს ქალაქს.

✦ გუშინ დარიგებულ განცხადებიდან სჩანს, რომ მთავარმართებლის განკარგულებით შეჩერებული გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, ისევ დაიწყებს გამოსვლას 18 მარიამობისთვიდან.

✦ რედაქციას მოუვიდა ბ-6 მურიეს ჟურნალის „Le Caucase Illustré“-ს 4 №. შიგ დაბეჭდილია: 1) ჩვენის ნიჭიერის მხატვარის გ. გაბაშვილის ეტიუდი „ქართველი“, 2) გაგრძელება ილია ჭავჭავაძის პოემის „განდეგილის“ თარგმანისა (პროზად), 3) იმერული ხალხური ლექსი, 4) სუნდუკიანცის კომედია „პეპო“ (დასასრული), 5) წმ. ქეთევანისა და შუშანიკის სურათები, 6) ოსური ლეგენდა (დასასრული), 7) სურათი კავკასიურ ხელოვნურ ნივთებისა, 8) ორი სურათი „სამშობლოს“ IV მოქმ. 1 და 2 სცენებისა, 9) ერთი არაკი საბა-სულხან ორბელიანისა, 10) ტიპები ჩვენებურ მათხოვრებისა, 11) სამკაულნი, კავკასიაში ნაპოვნნი (სურათი).

---

## იმერეთის თავად-აზნაურთა კრება

(გაგრძელება 7 მაისის სხდომისა)

ახალის გარდასახადის შესახებ მოხსენების წაკითხვისა და მცირეოდენ კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ჩვეულებრივის წესით. შემდეგ კრებას მოხსენდა ბანკიდან დასაბრუნებელ ფულების საქმე.

**თ. კირ. ლორთქიფანიძე.** მეც კომისიის წევრი ვარ და მეგონა ოქმში შეიტანდით გუშინდელ ჩემს ნათქვამს ამ ფულების შესახებ, მე ბ-ნ ივანე დუმბაძეს დავეთანხმე მის მშვენიერს აზრში სათავად-აზნაურო სახლის შესახებ, თქვენ კი ოქმში არ შეგიტანიათ ჩემი აზრი, და ეხლა ძალა უნებურად უნდა გავიმეორო.

მცირე ხნით სხდომა შეწყვეტილია და გახსნის შემდეგ **ბ. მ. დარახველიძე** ამბობს, რომ ჯერ ფულიც არ ვიცით სად არის, რა დროს პროექტების შედგენაა.

**თავ. კირ. ლორთქიფანიძე.** აქსრულიად უადგილოა იმის შიში, ვითომც ჩვენ ფულები არა გვაქვს და ვერ მივიღებთ. გამგეობის ერთის წევრისაგან მე გამიგონია, ასი ათასი მანეთის მოცემა შეგვიძლია წელიწადში და ამით ბანკს არა დააკლდება-რაო. საზოგადო აზრი კი გამგეობისა და კომიტეტისა ისეთია, რომ წელიწადში 40000 მანეთის მიღება შეგვიძლია, ასე რომ 10 წელიწადში სულ მივიღებთ. ჩვენ ეს ფულები უნდა ვაქციოთ ჩვენის ბანკის გირავნობის ფურცლად და მაშინ გვექნება წელიწადში 20000 მანეთი და ცოტა მეტი შემოსავალი. ეს შემოსავალი ამ რიგად უნდა დავანაწილოთ: 1/3 გადავსდვათ სტიპენდიებისათვის ჩვენის ახალგაზდობისათვის უმაღლესის განათლების მისაღებად ევროპაში და რუსეთში; 1/3 სათავად-აზნაურო სკოლისათვის, რადგან შესაძლოა ის 60% ბანკის შემოსავლისა, რომელიც წესდების ძალით უნდა ეძლეოდეს ამ სკოლას, არ ეყოს მას და ამიტომ ამ ფულიდანაც უნდა შევეწიოთ; ამ ნაწილიდან უნდა დავაარსოთ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთათვის საპენსიო თანხა; ხოლო უკანასკნელი 1/3 მოხმარდეს თავად-აზნაურთა წარმომადგენლობის საქმეს, დეპუტატთა გაგზავნისათვის, უმაღლესის პირების მიღებისათვის და სხვა; თავნი კი ხელ-უხლებლად უნდა დარჩეს. მაგრამ რადგან თავად-აზნაურობას არა აქვს სახლი სათავად-აზნაურო სკოლისთვის, არა აქვს თავის შესაკრები დარბაზი და ღმერთმა იცის სად ვიკრიბებით, ბ. დუმბაძის წინადადებას დავეთანხმე და დღესაც ვიმეორებ: ვისესხოთ ამ თანხიდან და ავაშენოთ სათავად-აზნაურო სახლი. ამ გვარის სახლის აშენება, საცა მოთავსებული იქმნება დეპუტატთა საკრებულო, მარშლის სადგომი, სკოლა, ჩვენ შეგვძენს წელიწადში 5000 მანეთს და ეს 5000 მანეთი ჯერ-ჯერობით ვიხადოთ ნასესხის თავნის დასაფარავად და მისის სარგებლის გარდასახდელად. ამიტომ მე ვთხოვულობ მიენდოს დეპუტატთა საკრებულოს ეხლავ სათავად-აზნაურო სახლის აშენებისთვის ზრუნვა და ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას ამ დღიდანვე შეუდგეს.

**მ. ე. დარახველიძე.** ეგ წყლის ნაყვაა, დალოცვილო; არა გვაქვს ფული, გთხოვთ დაეკითხოთ ბ-ნ ჯაიანს, არ მოიწერა მინისტრმა მაგ ფულის შესახებ.

**თ. სვ. წერეთელი.** (თავმჯდომარე კრებისა) ჩვენ შარშან დავადგინეთ—ეგ ფულები გადადებულ იქმნას სათავად-აზნაურო თანხად სწავლა-განათლებისათვის. უმაღლესად გამოცემულის კანონის ძალით ამ გვარის დადგენილების დამტკიცება შეუძლია მთავარმართებელს კავკასიისას. მთავარმართებელმა დაამტკიცა ჩვენი გარდაწყვეტილება, მაშასადამე დაკანონებულია და მაგის მოშლა არავის შეუძლია. სამინისტრომ არც კი იცოდა, რომ ბანკის გამგეობა დაეკითხა, ვიდრე ჩვენ გარდავწყვეტდით ზემოხსენებულს, რა ვუყოთ ამ ფულებსაო. სამინისტრომ კი უპასუხა ეგ ფულები დამფუძნებელთ უნდა დაუბრუნდესო, ასე რომ მინისტრის ქაღალდი, რომელზედაც აქ გვითითებენ, შეეხება და პასუხის გებაა ბანკის კითხვაზედ—სხვა არაფერი. ჩვენი გარდაწყვეტილება ძალაშია შესული—მაგას ვერავინ დაარღვევს, გარდა სენატისა და სენატში კი არავის გაუსაჩივრებია ეგ თავის დროზედ. რაიცა შეეხება კომისსის აზრს ამ ფულების შესახებ, გამოითქვა რამდენიმე აზრი. ერთის აზრით სათავად-აზნაურო თავშესაფარი უნდა გავაკეთოთ თავად-აზნაურთა მოსწავლე ყმაწვილებისათვის და სტიპენდიები უნდა დავაარსოთ ახალის კანონის დაგვარად; მეორე (ბ. თოფურიასი) პოლიტეხნიკუმისათვის გადავდვათ ეგ ფულები; მესამე თ. კირილე ლორთქიფანიძის წინადადებაა, რომელიც თვით მოგახსენათ აქა; მეოთხე—სათავად-აზნაურო სკოლა გიმნაზიად ვაქციოთო.

**თ. ნ. თავდგირიძე.** მეც კომისიის წევრი გახლავართ და ჩემს აზრს მოგახსენებთ. მე რომ საქმის განსჯას მინდოდა შევდგომოდი, ასე მეგონა ფულები ჯიბეში გვედვა. ჯერ კომისიის კრებები არ შესდგა, არავინ დადიოდა. მერე მოვსთხოვეთ რამდენჯერმე ბანკს, გვიბრძანეთ გვქონდეს იმედი, რომ მაგ ფულების მიღება შეგვიძლიან თუ არა. ბანკმა ხმა არ გაგვცა. თავმჯდომარემ ზედამხედველის კომიტეტისამ, ბ. ლოლუამ, კომისიის ერთ წევრთაგანმა ასე გვიპასუხა ეგ ფულები მოკლე ვადიან სესხად არის გაცემული და თუ ინებებთ გაეყიდით დაგირავებულ მამულებს და 5 წლის განმავლობაში გადაიხდით ფულს, მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდებათო, რომ მაგ მოკლე ვადიან სესხის სარგებელი არჩენს სათავად-აზნაურო სკოლას და თუ ეგ ფულები წაიღეთ, სკოლა უნდა დავხუროთო,—ასე რომ მე ჯერაც არ ვიცი და ვერ გამომირკვევია—როდის და რამდენი შეგვიძლიან მივიღოთ ამ ფულებიდან და რაზედ უნდა გვქონოდა მსჯელობა.

**დ. ბაქრაძე.** მე ამ დღეებში მომივიდა თხოვნა სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთაგან. თავის გაჭირვებულ მდგომარეობას აღგვიწერენ და გვთხოვენ პენსიისათვის თანხა დავაარსოთ. მე გთხოვთ ჩემი წინადადება შეიტანოთ, რომ მაგ ფულის ნაწილი მოხმარდეს ამ საქმეს.

**თ. კირ. ლორთქიფანიძე** (გაცხარებული) მე ვსთხოვ ლუარსაბ თეიმურაზის ძეს ლოლუას განაცხადოს აქ, შეგვიძლიან თუ არა მაგ ფულების მიღება და რამდენის.

**თ. ნიკ. თავდგირიძე.** (წამოვარდება გაცხარებული) მე ვსთხოვ ბ. ლ. ლოლუას განაცხადოს თუ არ უთქვამს კომისიაში ის, რაც მე მოგახსენეთ ზემოდ.

**დ. ლოლუა.** ჩვენ შეგვიძლიან მივსცეთ თ.-აზნაურობას თავისი ფულიდან წელიწადში 40.000 მანეთამდე.

**ს. დ. ჯაფარიძე.** თუმცა აქ გვიბრძანა გუბერნიის მარშალმა სამინისტროს ქაღალდი დაწერილია ისე, ვითომ არც კი იცოდნენ, რომ ჩვენის კრების გარდაწყვეტილება მთავრობისაგან დამტკიცებულია, მაგრამ, მგონი. ეგ შეუძლებელია. მე როგორც ვატყობ, სამინისტრო წინაალმდეგია მაგ ფულების ისე მოხმარებისა, როგორც ჩვენ გარდავსწყვიტეთ, და უმჯობესი იქნება ვითხოვოთ უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ მაგ ჩვენს გარდაწყვეტილებას კანონიერი სახე მიეცეს, რომ იგი დაკანონებული იქმნეს.

**თავმჯდომარე თ. სვ. წერეთელი.** ეგ გარდაწყვეტილება დაკანონებულია და კანონიერის გზით დამტკიცებული.

**ს. დ. ჯაფარიძე.** მაშ რათ მოგვწერა მინისტრმა, დაუბრუნეთ ფული დამფუძნებელთაო. ტფილისში ეგ წინადადება იცოდნენ და ამიტომაც სცნეს შეუძლებლად—თავად-აზნაურთა კრებას გარდაეწყვიტა რამე მაგ ფულების შესახებ, იქ გარდასწყვიტეს ყოველ დამფუძნებელს ჩამოართვან ხელწერილი, რომ ფულზედ უარს ამბობს.

**დ. ლოლუა.** სამინისტროს ქაღალდი სწორედ ჩვენის შეკითხვის პასუხია და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის, მას შემდეგ რაც ჩვენი გადაწყვეტილება კანონიერის წესით დამტკიცებულია.

მ. ვ. დარახველიძე. თქვენ იურისტი ხართ და აბა როგორ დაიჯერო, რომ სამინისტროს მაგნაირი ქაღალდის შემდეგ ფულებს გარდასცემ თავად-აზნაურობის კრებასბარა სათითაოდ დამფუძნებელთ

თავ. კ. აბაშიძე. სამწუხარო მოვლენაა სწორედ, რომ ასე ბავშურად ვეკიდებით ჩვენს მძიმე საგნებს. ეგ თანხა—ეგ ნახევარი მილიონი ფული ერთად ერთი ჩვენის სიმდიდრის წყაროა; მაგის წყალობით გვინდა თითქმის არა თუ საზოგადო საჭიროებანი, კერძო საჭიროებაც დავიკმაყოფილოთ და ჩვენ ისე ვიქცევით, თითქო ვთამაშობდეთ. ამოვირჩიეთ მთელის გუბერნიის საუკეთესო კაცები ამ ორის წლის წინედ და ვთხოვეთ ამ საგნის შესახებ თქვენი აზრი დაგვისაბუთეთ, თქვენი საფუძვლიანი მსჯელობა წარმოგვიდგინეთ და ამის სამაგიეროდ ჩვენ დღეს რას ვხედავთ. ერთი წევრი კომისიისა ეკითხება მეორეს, ფული გვაქვს? მეორე ეუბნება, გვაქვს. მესამე—არა გვაქვსო ერთი ამბობს „თავშესაფარი“ დავაარსოთ, მეორე აქვე მას ედავება, არა სხვა რასმე მოვახმაროთ. ბატონებო, იმისთვის კი არ ამოგვირჩევიხართ რომ აქ თქვენი სიტყვიერის ბრძოლისათვის გვაყურებინოთ. საფუძვლიანი მსჯელობა წარმოგვიდგინეთ და მერმე ვნახავთ, რომელიც მოგვეწონება, იმას მივიღებთ. თუ კომისია არ იკრიბებოდა, ოქმი მაინც შეგვედგინათ—არ შეიკრიბა, ან ვინც შეიკრიბა ეს აზრი წარმოსთქვა-ქთო. საუკეთესო კაცები ამოგირჩიეთ და ორი წელიწადი დრო გქონდათ, ვერც ერთი აზრი ვერ გამოგირკვევიათ და გნებავთ დღეს ასე ალა-ალად გარდავსწყვიტოთ საქმე, რომელზედაც ჩვენი ბედი და იღბალი, გვაქვს დამყარებული. ჩემის აზრით, საყვედური უნდა გამოუცხადოთ კომისსიას და ან სხვა ამოვირჩიოთ, ან მივანდოთ გუბერნიის მარშალს მოიწვიოს მცოდნე კაცები და მათი დასაბუთებული აზრი აქ წარმოგვიდგინოს. (მოწონების ხმა).

თ. ნ. თავდგირიძე. მართალია, მართალი.

დ. ბაქრაძე. თუ მართალია, თქვენც კომისიის წევრი არა ხართ?

თ. ნ. თავდგირიძე. მე ვარ კომისიის წევრი და ყოველ სხდომაზე ოზურგეთიდან მოვრბოდი, ერთს მაგალითს ვერ მიჩვენებთ დავკლებოდე სხდომას, რაც უნდა გაჭირვებაში ვყოფილიყო. სხვები კი ქუთაისში ბრძანდებოდნენ და ასში ერთხელ თუ მოვიდოდნენ.

თ. გ. ლორთქიფანიძე. ეგ საქმე თუ გადიდვა, სამ წელიწადს კიდევ ვერ გარდასწყდება, მაგალითმა გვიჩვენა კომისიის გაკეთებული საქმე რა დიდხანს გვაცდევინებს ხოლმე.

თავმჯ. თ. ს. წერეთელი. საგანგებო კრება შეგვიძლია მოვიწოდოთ.

(კრება დაეთანხმება იმ აზრს, რომ მიენდოს გუბერნიის მარშალს შეკრიბოს თავისის უფლებით კომისსია და კომისიის დასაბუთებული აზრი ამ ფულების განაწილების შესახებ წარმოუდგინოს ამისთვის შეკრებილ საგანგებო კრებას).

კრებას მოხსენდა თ. გ. ჩიჩუას წინადადება—ალსძრას თავად-აზნაურობის კრებამ ჯეროვანი შუამდგომლობა, რომ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის საჯარო ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიის მამულების შესახებ ქუთაისში მოხდეს ხოლმე, რადგან სიშორის გამო გასაჭირია მამულის მყიდველთათვის ტფილისში ჩასვლა და ვაჭრობა. კრებამ მიიღო წინადადება ერთხმად.

კრებას მოხსენდა ს. ხუნდაძის წინადადება იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნას ქონებრივი ცენზი სათავად-აზნაურო კრებაში მონაწილეთათვის. იმგვარად, რომ ყველას, ვისაც აქვს 30 დესეტინა მიწა, ნება ჰქონდეს მიიღოს მონაწილეობა კრებაში, თუ კი კანონის სხვა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს (აქვს ჩინი და განათლება). აქეთ-იქით გაისმის: „მივიღოთ, მივიღოთ“.

თავმჯდომარე ეხლა მოიხსენეთ ბ. გ. დოლაბერიძის წინადადება.

თ. კ. აბაშიძე. ბატონებო, განა შესაძლებელია ეგრე საქმის გარდაწყვეტა. ერთმა დაიძახა „პრინიატო“, მე ვიტყვი „ნე პრინიატ“; ასე არ შეიძლება. ეგრეთი მძიმე საგანი, როგორც ცენზის შემცირების საქმეა, უნდა კარგად იქმნეს განსჯილი, კარგად დასაბუთებული და შუამდგომლობა საფუძვლიანი უნდა წარვადგინოთ.

თ. ალ. ქოჩაქიძე. მე სრული თანახმა ვარ კ. აბაშიძისა. კანონმდებელმა, რომ ცენზი დააარსა, ამას თავისი მოსაზრება ჰქონდა. კანონის მიხედვით, ეს კრება არის მიწად-მფლობელთა კრება. ამიტომაც კანონი მიწად-მფლობელს აძლევს არჩევნის ხმის უფლებას, რათა მისი ინტერესების დამცველნი ამოირჩიოს. ამ კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ აზნაურს, მაგრამ ხმის—კენჭის უფლება კი მარტო მიწადმფლობელს აქვს. ეგ მიწის-მფლობელობაც, რასაკვირველია, განსაზღვრულია და მიწად-მფლობელთა იმ კათეგორიას აძლევს ხმის უფლებას კანონი, ვისაც 200 დესეტინა მიწა აქვს. არც ეს მიმაჩნია მე უსაფუძვლოდ. საშიშოა რომ ცენზი იმ სიმცირემდის მივიყვანოთ, როგორც ბ. ხუნდაძე ბრძანებს, რამოდენიმე კაცის სათარეშოდ არ გახდეს კრება. გუშინ ვიყავით ჩვენ ამის მოწმე, რომ 200 დესეტინის ფაქტიური ცენზიც კი შეჰქმნეს და 30 დესეტინისას იმდენ ფიქტიურ ცენზს შეადგენენ, რამდენიც გნებავთ. ეს კი იმას გამოიწვევს, რომ ვისაც,ვთქვათ, 3000 დესეტინა ისეთი მიწა აქვს, რომელზედაც აქა სთქვეს, ჯორისთვისაც მიუვალიაო, 100 კენჭს გაიკეთებს მოვა და რაც ენებება იმას გარდააწყვეტინებს კრებას. მე წინააღმდეგი როდი ვარ ცენზის შემცირების, მაგრამ შეამცირეთ 150 დესეტინად ას დესეტინად. მე, ვიმეორებ, თანახმა ვარ თ. აბაშიძისა, რომ მაგვარი წინადადება სერიოზულად აწონილ-დაწონილ იქმნეს. (ტაშის ცემა).

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**11 მაისა**

**პეტერბურგი.** 11 მაისს, მისი უდიდებულესობის თანადასწრებით ზღვაში ჩაუშვეს რუსეთის საადმირალოდან პირველი ხარისხის კრეისერი „ავრორა“ და დაიწყეს კეთება ჯავშნიანი გემის „ბოროდინოსი“. შემდეგ ბალტიის ქარხნიდან, მის უდიდებულესობისავე დასწრებით, ჩაუშვეს კრეისერი „პობედა“ და დაიწყეს კეთება ჯავშნიანის გემის „ალექსანდრე III“-სა.

11 მაისს ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერეს გერმანელ მხატვართა გამოფენა.

**ბაქო.** ნავთის მწარმოებელთა კრებამ დაამტკიცა უბედურ შემთხვევათაგან მუშების სავალდებულო დაზღვევის პროექტი. ყოველ წლივ დაიხარჯება პრემიაზე 300 000 მან., რაც შეადგენს ნავთის წარმოების წმინდა მოგების 2% და მუშების საფასურის 5%-ს.

**ოდესა.** აქ ჩამოვიდა გზათა მინისტრი და ხვალ გემით მიდის იალტასა და ნოვოროსსიისკს; იქაურ გზა-ტკეცილის დათვალიერების შემდეგ, მინისტრი დაივლის ტუაპსეს, სოჩს, სოხუმსა და ფოთს. ტფილისიდან მინისტრი რკინის გზით ტაგანროგს წავა.

**ვლადიკავკაზი.** დიდის წვიმებისა გამო ნიაღვარმა წალეკა ქ. გროზნოს ზოგი ქუჩა, სოფ. სლეპცოვსკაია და სხვა სოფლებიც. ზოგან ადამიანიც იმსხვერპლა ნიაღვარმა; საქონელი ბევრი დაიღუპა. ზარალი აუარებელია.

**ლონდონი.** ხმა არის, ვითომც კრიუგერს რჩევა მოსვლია ფიშერისაგან—დამორჩილდი ინგლისს იმ პირობებით, რა პირობებსაც რობერტსი მოითხოვს. ჰფიქრობენ, რომ, თუ ინგლისელნი გადავლენ მდ. ვაალის იქეთა ნაპირს, რობერტსი გამოაცხადებს, რომ იმ ბურთ, რომელნიც იარაღს დაჰყრიან, საქონელი და სხვა ქონება არ წაერთმევათო. ჰფიქრობენ, რომ ამ პირობით ბევრი ბური დამორჩილდება რობერტსს.

**ვაშინგტონი.** როგორც ამბობენ, უკანასკნელი ნოტა ამერიკისა ოსმალეთის მთავრობისადმი შედგენილია საკმაოდ თავაზიანად და არა აქვს ულტიმატუმის ხასიათი ულტიმატუმის გაგზავნამდე მაკ-კილინეი, ალბათ, დაეკითხება კონგრესს.

**ჰეილბრონი.** პრეზიდენტი შტეინი იმყოფება ამ ჟამად ფრანკფორტში, ჰეილბრონის სამხრეთით.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება რენოსტერის სამხრეთ ნაპირიდან: „მოვედი აქ და აღმოვაჩინე, რომ მტერი ღამით გაქცეულა; მე დავიჭირე ძლიერი პოზიცია მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზე და კარგად გავამაგრე იგი. მტერმა აღარ სცდო საჭიროდ თავის პოზიციის თაცვა, როდესაც გაიგო, რომ გამილტონის ჯარი გადავიდა მდინარეს და პოზიციის მარჯვენა მხარეს ემუქრებაო. ხიდი და რკინის გზის ლიანდაგი რამდენიმე ვერსის მანძილზე დანგრეულია. გამილტონის ჯარმა წინ გაიგდო ბურები, რომელთაც მთავარსარდლობდა დევეტი. ბურებმა წინააღმდეგობა აღმოუჩინეს ინგლისელთ მდ. რენოსტერზე გადასვლის დროს. ჩვენ ცოტა გვყავს მოკლულ-დაჭრილი“.

ბოსგოფიდან იტყობინებიან, რომ უკანასკნელ დღეებში 300-ზე მეტმა ბურმა დაჰყარა იარაღიო. იომანრიებმა განდევნეს ბურები ბლუმფონტენისა და ბოსგოფის შუა ადგილებიდან.

ბურების ბანაკიდან ფოლკსრუსტთან იტყობინებიან: „გუშინ ბურების წინა რაზმები თავს დაესხნენ ინგლისელების რაზმს ნეუტისა და მაუნტპროსპექტის შუა. 8 ინგლისელი მოკლულ იქმნა და 13 დაჭრილი; ბურების მხრით-კი არავინ მოუკლავთ, არც დაუჭრიათ. ბურები ეხლა უფრო მხნედ არიან, ვიდრე ყოფილან ოდესმე.

და გარდაწყვეტილი აქვთ მედგრად იბრძოლონ მტერთან, რათა არ შეუშვან იგინი ტრანსვაალში“.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 4 პროცენტიდან $3^1/_2$-მდე.

**პრეტორია.** მოკავშირე რესპუბლიკების ჯარებმა გადაწყვიტეს დაიცვან იოჰანესბურგი სანამდის კი შეიძლება.

**დენდი.** მდ. ვაშბანკზე გააკეთეს დროებითი ხიდი.

**ლორენცო-მარკეზი** ჰამბურგისაკენ წავიდა გემი „ბუნდესრატი“, 30.000 უნცი ოქროთი დატვირთული.

**12 მაისი.**

**პეტერბურგი.** გოკოტრებულა საბანკო კანტორა ა. კუტუზოვისა; პასსივი 6 მილიონს უდრის.

**პარიზი.** თავ. ურუსოვმა თავ. ტენიშევის და მის თანაშემწის ვუიჩის თანადასწრებით გახსნა სამხედრო და საზღვაო სამისისტროების განყოფილებანი. სალამოს გამოფენაზე გაიმართა დიდი ნადიმი, რომელზედაც სადღეგრძელო იქმნა დალეული ხელმწიფე იმპერატორის, ფინანსთა მინისტრის და დეპარტამენტის დირექტორის კოვალევსკისა. შემდეგ უსურვეს რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას განვითარება.

**ლონდონი.** მდ. რენოსტერიდან იუწყებიან: „ბურები მიდიან ვაალისაკენ და აცხადებენ, რომ არ შესწყვეტამენ ბრძოლას, სანამ არ ამოსწყდებიან. ფრენჩი სდგას მდ. რენოსტერიდან ჩრდილოეთით; გამილტონი მას მხარს აძლევს. იმედი აქვთ, რომ ინგლისელები მალე იქნებიან პრეტორიაში. მკვიდრთა ჩვენებით, ბურებმა ჩაფლეს მდ. რენოსტერის კალაპოტში ორი ზარბაზანი.“

**პრეტორია.** ოფიციალურად. ფრეგეიდთან ბრძოლაში, სადაც ბეტუნი ჩასაფრებულ ბურებს ჩაუვარდათ ხელში, ბურებმა ორი ზარბაზანი წაართვეს ინგლისელებს. გეილ-ბრონის დაპყრობამდე კი ბურებმა წაიყვანეს ტყვედ 20 ინგლისელი მათგან 3 ოფიცერია.

**ქაირი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა მიჰმართა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს ცირკულიარით, რომელშიაც აცხადებს, რომ სახელმწიფო ვალის კასსა ამტკიცებს გამოცემას 1,700,000 გირ. სტერ. სახელმწიფო ვალისას და სთხოვს სახელმწიფოებს თანხმობას. ამ თანხიდან 98,000 გირ. სტერ. საჭიროა სხვა-და სხვა ავანსების გარდასახდელად, ხოლო დანარჩენი ფული უნდა გაკეთდეს რკინის გზის მეორე ლიანდაგი სეუთისა და ქაირის შუა და აგრეთვე სალტუსკისა და პორტ-საიდის შუა.

**პარიზი.** სამხედრო და საზღვაო რუსეთის განყოფილებანი გამოფენაზე განიყოფებიან ორ ჯგუფად. მხედრობის და ფლოტის სასახლეში გამოფენილია, სხვათა შორის, ჰაერონავტიკის მოწყობილებანი. იქვე მოთავსებულია გამოფენა საარტილერიო, სატოპოგრაფო და სამხედრო ასსწავლებელთა ნაწარმოებნი.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —10 კ. | |
| სუკი . . . . | 1 » | —15 კ. | |
| » ცხვრისა . | » » | — $8^1/_2$ | |
| » კამეჩისა. . | » » | — 8 კ. | |
| » ღორისა. . | » » | — 8 კ. | |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 კ. | | |
| » » | II | » » | » $3^1/_2$ | » | |
| » » | III | » » | » 3 | » | |
| იგივე თონისა | I | » » | » 5 | » | |
| » » | II | » » | » 4 | » | |
| » » | III | » » | » $3^1/_2$ | » | |
| ლავაში ჭკ. მამ. | I | » » | » 6 | » | |
| » » | II | » » | » 4 | » | |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| ხორბალი საყუ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი მადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

**გამგეობისაგან.**

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1— | » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . . | « | —50 |
| დაბადება და აღზრდა კრებლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩნასი . . . . . . . . | « | —10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | « | —20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | | |
| I ტომი . . . . . . . | « | —70 |
| იგივე II ტომი . . . . . . . | « | —60 |
| იგივე III ტომი . . . . . . . | « | —60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . . | « | —80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . . | « | —10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . | « | —60 |
| იგივე II ტომი . . . . . | « | —60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . | « | —60 |
| სიბრძნე-სიცრუისა საბა-ორბელიანისა . . . | « | —40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი . . | « | —20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა . . . . . | « | —50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . | « | —15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით . . | « | —15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . | 1 | —20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . | 1 | —50 |
| რძე მისივე . . . . . . . . . | 1 | —50 |
| სიბრძე პალავარისა . . . . . . . | « | —30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . . . . . | « | —80 |
| დასტურ-ლამა . . . . . . . . | « | —10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია,**

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი **I** საერო კრება . . . . . . . . | 60 | კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . . | 75 | „ |
| ნაწილი **II** სამშობლოს განსაცდელი. . . . . | 60 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 75 | „ |
| ნაწილი **III** წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი **IV** მამულიშვილი ბონაპარტე | . 1 მ. 20 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 1 მ. 50 | „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . | 30 | „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . | 30 | „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. ზ. გუნია.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Мая, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.